

პატივცემულო კოლეგებო,

- საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა ასოციაციის მედიცინის დეპარტამენტი
- საქართველოს ბიოტექნოლოგიის ცენტრი
- საქართველოს პრენატალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაცია
- ნაყოფის მედიცინის საქართველოს ფონდი
- სხვა სამედიცინო ასოციაციასა და დაწესებულებასთან ერთად

2015 წლის 11 ივლისიდან 16 ივლისამდე ატარებს მედიკოსთა ტრადიციულ 38 -ე საერთაშორისო სკოლა-კონფერენციას **”ჩაქვი-2015”**, რომლის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებს სხვადასხვა დარგობრივი სამედიცინო ასოციაცია, უმაღლესი სამედიცინო სასწავლებელი, ორგანიზაცია და დაწესებულება.

ამასთან ერთად პირველად აღნიშნული სკოლა-კონფერენციის ფარგლებში **2015 წლის 17-18 ივლისს** დაგეგმილია სპეციალიზირებული საერთაშორისო ტრენინგ - სემინარის და მასტერ-კლასების ჩატარება კლინიკური მედიცინის უახლეს მიღწევებში.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე:

მედ. მეცნ. დოქტორი **ალექსანდრე პაპიტაშვილი**

გენერალური დირექტორი

მედ. მეცნ. დოქტორი **გიორგი თვალთვაძე**

სკოლა-კონფერენციაზე ჩატარდება ლექცია-სემინარები პრაქტიკოსი ექიმებისა და სტუდენტებისთვის, დარგობრივი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები. ასევე დაგეგმილია ტრადიციული საერთაშორისო ერთობლივი სამეცნიერო-პრაქტიკული ფორუმების ორგანიზება მსოფლიოს ცნობილ ექსპერტთა მონაწილეობით, მათ შორის:

- XVII ქართულ – უკრაინული ფორუმი
- XVII ქართულ – სომხური კონფერენცია
- VI ქართულ – ბელორუსული სიმპოზიუმი
- VI ქართულ – რუსული კონფერენცია

სკოლა-კონფერენციის მიმართულებები და ძირითადი თემატიკა:

- ფარმაკოთერაპია
- კლინიკური ქირურგია და ტრანსპლანტოლოგია
- კლინიკური ნევროლოგია და ნეიროქირურგია
- კარდიოვასკულარული დაავადებები
- კლინიკური ალერგოლოგია
- კლინიკური ჰემატოლოგია
- რეპროდუქტოლოგია, პრენატალური მედიცინა, პერინატოლოგია და მეანობა-გინეკოლოგია
- დერმატო-ვენეროლოგია
- ულტრაბგერითი დიაგნოსტიკა
- პროფესიული დაავადებები
- უახლესი ტექნოლოგიები მედიცინაში
- ინფორმაციული ტექნოლოგიები მედიცინაში
- სამედიცინო ეკოლოგია
- სხვა თემები

მოთხოვნის შესაბამისად, სკოლა-კონფერენციაზე შესაძლებელია ცალკეული სემინარებისა და ტრენინგების ჩატარება სპეციალურ შეკვეთილ თემაზე. წარმოდგენილი მოხსენებები, ძირითადად, დაფუძნებული იქნება “მტკიცებითი მედიცინის” პრინციპებზე.

ყველა ოფიციალურად რეგისტრირებული მონაწილე მიიღებს შესაბამის სერტიფიკატს და მას მიენიჭება სათანადო კრედიტ-ქულები.

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობენ ორგანიზაციები, რომლებიც წარმოადგენენ ახალ სამედიცინო ტექნიკას, მედიკამენტებსა და სამედიცინო ლიტერატურას.

მოხსენებები (პრეზენტაციები,ლექციები):

მოხსენებათა სათაურები წარმოდგენილი უნდა იყოს საორგანიზაციო კომიტეტში არაუგვიანეს **2015 წლის 20 ივნისისა (საწევრო-საორგანიზაციო შენატანის გადახდის შემდეგ)**. ელექტრონული ფორმის საშუალებით შევსებული მოხსენებათა სათაურები, ასევე დასკანირებული **საწევრო-საორგანიზაციო შენატანის საბანკო გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტი** უნდა გამოგზავნილ იქნას ელ.ფოსტით, მისამართზე: **ampsmpge@hotmail.com** ან მიეწოდოს სამდივნოს.

ყველა მომხსენებელმა საჭიროა შეავსოს მომხსენებლის სარეგისტრაციო ფორმა: ==>>> მომხსენებლის სარეგისტრაციო ფორმა

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობის ყველა მსურველმა უნდა შეავსოს **სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა: ==>>> სარეგისტრაციო განაცხადის ფორმა** და გადაუგზავნოს საორგანიზაციო კომიტეტის სამდივნოს, ელ.ფოსტის მისამართზე : **info@mtvi.ge** ან **info@caucasus.ge**. (საორგანიზაციო კომიტეტის სამდივნოს ხელმძღვანელი, თეა ჯოხაძე – მობ.: **593 205 731**. თბილისი, რუსთაველის გამზ. 48, MTVi Agency).

კლინიკური მედიცინის უახლეს მიღწევებში სპეციალიზირებულ საერთაშორისო ტრენინგ - სემინარსა და მასტერ-კლასებში მონაწილეობის მსურველებმა უნდა შეავსონ და სამდივნოს უნდა გადაუგზავნონ შესაბამისი განაცხადი. **განაცხადი იხილეთ აქ >>>>> >>**

სარეგისტრაციო განაცხადის შევსებული ფორმა, საორგანიზაციო კომიტეტის მიერ მიიღება მხოლოდ სკოლა-კონფერენციაში **მონაწილეობისათვის გაცხადებული თანხის დადასტურებული გადახდის შემდეგ!!!**

ნებისმიერი სარეგისტრაციო ფორმის ხელით შევსება არ დაიშვება და ამ შემთხვევაში მიღებული არ იქნება!

სკოლა-კონფერენციის სესიები ჩატარდება კურორტ ჩაქვის სასტუმრო „ოაზისი“ -ს საკონფერენციო დარბაზში. **www.hoteloasis.ge/?lng=geo**

სკოლა-კონფერენციაში მონაწილეობის მიღების მსურველთა საყურადღებოდ! მონაწილეებისთვის სასტუმროებში განთავსებისას მნიშვნელოვანი ექსკლუზიური ფასდაკლებაა. **ინფორმაცია სრული პაკეტის ღირებულების, მატარებლით მგზავრობისა და მახინჯაურის რკინიგზის სადგურიდან სასტუმრო „ოაზისამდე“ ტრანსფერის პირობების შესახებ, ==>>> იხილეთ აქ!**

სასურველი ნომრის შერჩევის მიზნით, აღნიშნული თანხის გადახდამდე ერთი დღით ადრე, აუცილებელია საორგანიზაციო კომიტეტის განთავსების და სარეგისტრაციო-ტექნიკური სამსახურის ღირებულორთან მიხეილ ხომტარასთან დაკავშირება

რეკვიზიტები საბანკო გადარიცხვისთვის:

ბანკი – „საქართველოს ბანკი“ – BAGAGE22, სალარე ანგარიშის
N GE26 BG00 0000 0344 3420 00

მიმღები – რ/კ “საქართველოს პრენატალური მედიცინის და პერინატოლოგიის ასოციაცია”,

ასოციაციის საიდენტიფიკაციო კოდი – 202215673

იურიდიული მისამართი: თბილისი, დ.უზნაძის ქ.58

მონაწილეთა საყურადღებოთ:

1. სკოლა-კონფერენციის სტანდარტული ხანგრძლივობა 9 დღე და 8 ღამეა.

2. სასურველი ნომრების (ოთახების) წინასწარი დაჯავშნა შესაძლებელია ჯავშნის თანხის წინასწარი გადახდის შემთხვევაში. ამისათვის სკოლა-კონფერენციის მონაწილეებმა და/ან თანმხლებმა პირებმა (6 წლის ზევით ბავშვების ჩათვლით), **2015 წლის 11 ივნისამდე**, უნდა გადაიხადონ სასტუმროს ჯავშნის ღირებულება, რომელიც შეადგენს - **100** ამერიკული დოლარის შესაბამის ექვივალენტს **ლარში** (ყოველ პიროვნებაზე).
3. **ჯავშნის ღირებულების გადახდის გარეშე საორგანიზაციო კომიტეტის სარეგისტრაციო სამსახურს და სამდივნოს ნებისმიერი მონაწილისთვის აკრძალული აქვთ ადგილის წინასწარი დაჯავშნა.**
4. ჯავშნისთვის გადახდილი თანხა ჩათვლება სრული პაკეტის ღირებულებაში.
5. რეგისტრაციის შემდეგ, მონაწილის მიზეზით, მონაწილის და/ან თანმხლები პირის მიერ კონფერენციის მუშაობაში უარის თქმის შემთხვევაში:
 - 12 ივნისამდე მათ უბრუნდებათ ჯავშნისათვის გადახდილი თანხის 80%
 - 12 ივნისიდან 21 ივნისამდე მათ უბრუნდებათ ჯავშნისათვის გადახდილი თანხის 50%
 - 21 ივნისიდან 30 ივნისამდე მათ უბრუნდებათ ჯავშნისათვის გადახდილი თანხის 20%
 - 01 ივლისიდან ჯავშნისათვის გადახდილი თანხა აღარ ბრუნდება

სრული პაკეტის ღირებულება გადახდილი უნდა იყოს არა უგვიანეს 25 ივნისის 17:30 საათამდე !!!

მონაწილის და/ან თანმხლები პირის მიერ კონფერენციის მუშაობაში უარის თქმის შემთხვევაში, მას შეუძლია თავის მაგივრად თავად შემოგვთავაზოს (წერილობით) შემცვლელი პირი.

შესაძლებელია სასტუმროში გაჩერების პერიოდის გაგრძელება **2 დღით, 21 ივლისის 12 : 00 საათამდე.**
==>>> პირობები-იხილეთ აქ !

გთხოვთ დაიცვათ დაწესებული ვადები და პირობები. მათი დარღვევის შემთხვევაში საორგანიზაციო კომიტეტი ვერ მოახერხებს თავისი ვალდებულებების შესრულებას.

ვინაიდან როგორც წესი, გამოყოფილი ნომრები, თითქმის სრულად იჯავშნება წინასწარი რეგისტრაციის გამოცხადებიდან 7-10 დღეში, გირჩევთ უახლოეს პერიოდშივე დაჯავშნოთ სასურველი ნომერი სასურველ კორპუსში, სასურველ მხარესა და სართულზე.

ესტუმრეთ ფეისბუქის ჩვენს გვერდებს:

Медконгресс Грузия - <https://www.facebook.com/profile.php?id=10000498885602> ან/და

Медконгресс Конференция - <https://www.facebook.com/medcongress.konferencia>

აქ განთავსდება ყველა უახლესი, მიმდინარე ინფორმაცია, ცვლილებები და დამატებები, რომლებსაც აქვთ კანონიერი ძალა.

ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ საორგანიზაციო კომიტეტის წევრს, განთავსებისა და სარეგისტრაციო-ტექნიკური სამსახურის დირექტორს **მიხეილ ხოშტარას**, მობ.: **555 404 731** ან ტელ: **299 56 65**, ყოველდღე 15:00-დან 23:00 საათამდე.

სკოლა-კონფერენციის დროს ყოველდღიურად ჩატარდება **გასართობი ღონისძიებები**, მათ შორის:

- კარნავალი, ზღვის ზეიმი, მუსიკალური საღამოები, კონცერტები, დისკოთეკები;
- მოეწყობა გამოფენები და შემოქმედებითი საღამოები;
- გარიმარდება ახალი მხატვრული ფილმებისა და მსოფლიო კინემატოგრაფიის საუკეთესო კინოსურათების ჩვენება.

სკოლა-კონფერენციის სამუშაო ენებია: **ქართული, ინგლისური, რუსული.**

სკოლა-კონფერენციასთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიების და ფირმებისთვის დამატებითი ინფორმაცია მოცემულია სპეციალურ N 1 წერილში. იხილეთ აქ [=>>>ინფორმაცია ფირმებისა და კომპანიებისთვის](#)

საორგანიზაციო კომიტეტი